

რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის
ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N7

რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის
ეროვნული კანონმდებლობის შესახებ

მიღებულია 2002 წლის 13 დეკემბერს
შესწორებულია 2017 წლის 7 დეკემბერს

*გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს არის ნათარგმნი ტექსტი. თუ
ტექსტში რამე დაგაუჭკვებთ, გთხოვთ, გადაამოწმოთ ორიგინალურ
ვერსიებში ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე.*

This document was translated by the “Fight against Discrimination, Hate Crimes and Hate Speech in Georgia” project. The project is implemented under the Council of Europe’s Action Plan for Georgia 2020-2023 with the support of the Danish Neighbourhood Programme in Georgia (DANEP).

გამოქვეყნებულია
რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მიერ
ევროპის საბჭო - 2018
დაბეჭდილია სტრასბურგში

**ევროპული კომისია რასიზმისა და
შეუწყნარებლობის წინააღმდეგ
(ECRI):**

ეყრდნობა რა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურების მიერ 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ვენაში გამართულ ევროპის საბჭოს პირველ სამიტზე მიღებულ დეკლარაციას;

ეყრდნობა რა, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ამ დეკლარაციის შემადგენელი ნაწილია და მოუწოდებს მინისტრთა კომიტეტს შექმნას რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია, რომელსაც ექნება, მათ შორის, წევრი სახელმწიფოებისათვის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავების მანდატი;

ეყრდნობა რა საბოლოო დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმას, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს სტრასბურგში, 1997 წლის 10-11 ოქტომბერს გამართულ მეორე სამიტზე;

ეყრდნობა რა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პირველ მუხლს, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით;

ითვალისწინებს რა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციას;

ითვალისწინებს რა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N111 კონვენციას დისკრიმინაციის

შესახებ (შრომისა და საქმიანობის სფეროში)

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებით ოქმს, რომელიც შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგად დათქმას;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ითვალისწინებს რა ევროკავშირის ფუდამენტური უფლებების ქარტიას;

ითვალისწინებს რა ევროკავშირის საბჭოს 2000/43/EC დირექტივას, რომელიც ახორციელებს ადამიანების თანასწორად მოპყრობის პრინციპს, მიუხედავად მათი რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობისა, ევროკავშირის საბჭოს 2000/78/EC დირექტივას, რომელიც ადგენს შრომისა და დასაქმების სფეროში თანასწორი მოპყრობის ზოგად ჩარჩოს;

ითვალისწინებს რა გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციას;

ეყრდნობა რა, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის პირველ რეკომენდაციას და ეროვნულ დონეზე რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის თანასწორობის ორგანოების შესახებ ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის მე-2 რეკომენდაციას;

ხაზს უსვამს რა, რომ ინდივიდუალური ქვეყნების შესახებ ანგარიშებში ECRI რეგულარულად აძლევს წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას, მიიღონ ეფექტური

სამართლებრივი ზომები, რომლებიც მიმართული იქნება რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ;

ეყრდნობა რა 2000 წლის 13 ოქტომბერს რასიზმის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის დასკვნით სესიაზე მიღებულ დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებმა აიღეს ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ და განახორციელონ ეროვნული კანონმდებლობა და ადმინისტრაციული ზომები, რომელიც ცალსახად და ცხადად ეწინააღმდეგება რასიზმს და კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას საჯარო ცხოვრების ყველა სფეროში;

ეყრდნობა რა 2001 წლის 31 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე დურბანში(სამხრეთ აფრიკა) რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მათგან მომდინარე შეუწყნარებლობის წინააღმდეგ გამართულ მსოფლიო კონვენციაზე მიღებულ დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმას;

ითვალისწინებს რა, რომ მხოლოდ კანონები არ არის საკმარისი რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ კანონები აუცილებელია რასიზმთან

და რასობრივ დისკრიმინაციასთან საბრძოლველად;

ხაზს უსვამს რა რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლაში სათანადო სამართლებრივი ზომების მნიშვნელობას, ისე რომ ზომებს ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღიქმებოდეს მსხვერპლისვის, როგორც დამაკმაყოფილებელი;

დარწმუნებულია რა, რომ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ სახელმწიფო კანონმდებლის ქმედებას ასევე აქვს საგანმანათლებლო ფუნქცია საზოგადოებაში და გამოხატავს ძლიერ გზავნილს იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში, რომელსაც კანონი მართავს, რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ლეგიტიმიზაციის არც ერთი მცდელობა არ იქნება შეწყნარებული;

მიზნად ისახავს რა, საერთაშორისო და ევროპულ დონეზე მიმდინარე სხვა ძალისხმევებთან ერთად, წევრი სახელმწიფოების დახმარებას რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ძირითადი ელემენტების ლაკონურად და ზუსტად განსაზღვრით, რომელსაც შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს;

წევრ სახელმწიფოებს მიმართავს რეკომენდაციით:

- a. მიიღონ რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონმდებლობა, თუ ასეთი კანონმდებლობა ჯერ არ არსებობს ან არსებობს არასრული სახით;
- b. უზრუნველყონ აღნიშნულ კანონმდებლობაში ქვემოთ წარმოდენილი ძირითადი კომპონენტების გათვალისწინება.

რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი ელემენტები

I. განმარტებები

1. წინამდებარე რეკომენდაციის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:
 - a) “რასიზმი” ნიშნავს რწმენას, რომ ისეთი ნიშანი, როგორცაა რასა¹, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა ამართლებს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის სიძულვილს, ან ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უპირატესობის ცნებას.
 - b) “პირდაპირი რასობრივი დისკრიმინაცია” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებულ მოპყრობას ისეთი ნიშნით, როგორცაა რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა, რომელსაც არ გააჩნია ობიექტური და გონივრული დასაბუთება. განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული დასაბუთება თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს ან არ არსებობს შესაბამისი პროპორციული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.
 - c) “ირიბი რასობრივი დისკრიმინაცია” გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, სადაც ერთი შეხედვით ნეიტრალურ ფაქტორთან, როგორცაა დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, შესაბამისობა არ არის ისეთივე ადვილი იმ პირებისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით გამორჩეულ ჯგუფს ან ასეთ პირებს აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ფაქტორს აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება. ფაქტორს ობიექტური და გონივრული დასაბუთება აქვს იმ შემთხვევაში, თუ იგი ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება და არსებობს გონივრული პროპორციული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.

II. საკონსტიტუციო სამართალი

2. კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს თანაბარი მოპყრობის პრინციპებს და სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თანასწორობას, ისევე, როგორც ადამიანთა უფლებას, იყვნენ ისეთი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციისგან თავისუფალი, როგორცაა რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება ან ეროვნული თუ ეთნიკური

¹ ვინაიდან ყველა ადამიანი განეკუთვნება ერთსა და იმავე სახეობას, ECRI არ ეთანხმება თეორიებს, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა “რასების” არსებობას. თუმცა, წინამდებარე რეკომენდაციაში ECRI აღნიშნულ ტერმინს იყენებს იმისათვის, რომ კანონმდებლობით უზრუნველყოფილი დაცვიდან არ გამოირიცხონ ის ადამიანები, რომლებიც ზოგადად და შეცდომით აღიქმებიან, როგორც “სხვა რასას” მიკუთვნებული.

წარმომავლობა. კონსტიტუცია, შესაძლოა ადგენდეს, რომ კანონი ითვალისწინებდეს გამონაკლის შემთხვევებს თანასწორი მოპყრობის პრინციპთან მიმართებაში, იმ შემთხვევაში, თუ ეს გამონაკლისები არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.

3. კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების უფლების განხორციელებაზე შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას, რასიზმთან ბრძოლის მიზნით. ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან შესაბამისობაში.

III. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი

4. კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს და კრძალავდეს პირდაპირ და ირიბ რასობრივ დისკრიმინაციას.
5. კანონი უნდა ადგენდეს, რომ რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა არ გამოირიცხავს დროებითი სპეციალური ზომების შენარჩუნებას ან მიღებას, რომლის მიზანია პირველი პუნქტის “ხ” ქვე-პუნქტში დასახელებული ნიშნებით (შემდგომში, “ზემოაღნიშნული ნიშნები”) გამორჩეული ადამიანების მიერ განცდილი არახელსაყრელი მდგომარეობის კომპენსაცია ან ასეთი მდგომარეობის პრევენცია, ან ცხოვრების ყველა სფეროში ამ ადამიანების მონაწილეობის ხელშეწყობა. ეს ზომები არ უნდა გაგრძელდეს დასახული მიზნების მიღწევის შემდგომ.
6. კანონმდებლობა, ასევე, უნდა უზრუნველყოფდეს, მათ შორის, ქვემოთ წარმოდგენილი აქტების დისკრიმინაციის ფორმებად მიჩნევას: სეგრეგაცია; დისკრიმინაცია ასოციაციით; დისკრიმინაციის გაცხადებული განზრახვა; დისკრიმინაციისკენ მოწოდება; დისკრიმინაციის წახალისება; დისკრიმინაციაში დახმარება.
7. კანონი უნდა ადგენდეს, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება ყველა საჯარო ორგანოზე, ისევე, როგორც ყველა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, ყველა მიმართულებით, კერძოდ: დასაქმება; პროფესიული ორგანიზაციების წევრობა; განათლება; ტრენინგი; საცხოვრებლით უზრუნველყოფა; ჯანდაცვა; სოციალური დაცვა; საზოგადოებისათვის ან საჯარო ადგილებისათვის განკუთვნილი საქონელი და მომსახურება; ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება; საჯარო სერვისები.
8. კანონი უნდა ადგენდეს საჯარო ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების პროცესში თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის პრევენციის ვალდებულებას;
9. კანონი უნდა ადგენდეს სახელმწიფო ორგანოების მოვალეობას, უზრუნველყონ, რომ ის მხარეები, ვისაც სახელმწიფო ორგანოები ანიჭებენ კონტრაქტებს, სესხებს, გრანტებს ან სხვა ბენეფიტებს, პატივს სცემენ და ხელს უწყობენ დისკრიმინაციის აკრძალვის პოლიტიკას. კერძოდ, კანონი უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ორგანოების მოვალეობას, კონტრაქტები, სესხები, გრანტები და სხვა ბენეფიტები გასცენ იმ პირობით, რომ შესაბამისი მხარე პატივს სცემს და ხელს

შეუწყობს დისკრიმინაციის აკრძალვის პოლიტიკას. კანონი უნდა ადგენდეს, რომ აღნიშნული პირობის დარღვევა გამოიწვევს კონტრაქტის, გრანტის და სხვა ბენეფიტის შეწყვეტას.

10. კანონი დისკრიმინაციის ყველა მსხვერპლისათვის უნდა ითვალისწინებდეს ადვილად ხელმისაწვდომ სამართლებრივ და/ან ადმინისტრაციული საქმის წარმოებაზე, მათ შორის, მორიგების პროცედურებზე წვდომას. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დისკრიმინაციის მსხვერპლს ხელი უნდა მიუწვდებოდეს დაჩქარებული პროცედურებზე, რომელიც განაპირობებს შუალედური გადაწყვეტილებების მიღებას.
11. კანონი უნდა ადგენდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი უფლება დისკრიმინაციული ქმედების შედეგად, სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე დაადასტურებს ფაქტებს, რომელიც იძლევა პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდის შესაძლებლობას, მოპასუხე ვალდებულია, დაადასტუროს, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.
12. კანონი უნდა ადგენდეს ეფექტურ, პროპორციულ და აღმკვეთ სასჯციებს დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით. ასეთი სასჯციები უნდა ითვალისწინებდეს ფულად კომპენსაციას მსხვერპლის მიერ განცდილი როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანისთვის.
13. კანონი უნდა ითვალისწინებდეს აუცილებელ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რომლის საფუძველზეც მუდმივ რეჟიმში შეფასდება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ყველა კანონის, რეგულაციის და ადმინისტრაციული დებულების შესაბამისობა დისკრიმინაციის აკრძალვასთან. ის კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას არ შეესაბამება, უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.
14. კანონი უნდა ადგენდეს, რომ დისკრიმინაციული დებულებები, რომელსაც შეიცავს ინდივიდუალური ან კოლექტიური კონტრაქტი ან შეთანხმება, საწარმოს შიდა რეგულაცია, წესები, რომელიც არეგულირებს მომგებიან და არა-მომგებიან ასოციაციებს და წესები, რომელიც არეგულირებს დამოუკიდებელ პროფესიებსა და მუშაკებისა და დასაქმებულების ორგანიზაციებს, უნდა შეიცვალოს ან ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.
15. კანონი უნდა კრძალავდეს შევიწროებას ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნის საფუძველზე.
16. კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმ ორგანიზაციების საჯარო სახსრებიდან დაფინანსების აღკვეთის ვალდებულებას, რომელიც ხელს უწყობს რასიზმს. პოლიტიკური პარტიების საჯარო სახსრებიდან დაფინანსების სისტემის არსებობის შემთხვევაში, ასეთი მოვალეობა უნდა შეიცავდეს იმ პოლიტიკური პარტიების საჯარო სახსრებიდან დაფინანსების შეწყვეტის მოვალეობას, რომლებიც ხელს უწყობენ რასიზმს.

17. კანონი უნდა ითვალისწინებდეს ისეთი ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესაძლებლობას, რომლებიც ხელს უწყობენ რასიზმს.

IV. სისხლის სამართალი

18. კანონით დასჯადი უნდა იყოს განზრახ შემდეგი ქმედებების ჩადენა:
- a) ძალადობის, სიძულვილის ან დისკრიმინაციის საჯაროდ წახალისება
 - b) საჯარო შეურაცხყოფა ან ცილისწამება, ან
 - c) მუქარა

ადამიანის ან ადამიანთა დაჯგუფების წინააღმდეგ, მათი რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით;

- d) საჯარო გამოხატვა, რასისტული მიზნით, იმ იდეოლოგიისა, რომელიც აცხადებს ადამიანთა დაჯგუფების უპირატესობას, ან ამცირებს ან ცილს სწამებს ადამიანთა დაჯგუფებას, მათი რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე;
 - e) გენოციდის დანაშაულების, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ან ომის დანაშაულების საჯარო უარყოფა, ტრივიალიზაცია, გამართლება ან მოწონება, რასისტული მიზნით;
 - f) რასისტული მიზნით, მე-18 პუნქტის a), b), c), d) და e) ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული მანიფესტაციების შემცველი წერილობითი, გრაფიკული ან სხვა მასალების საჯარო გავრცელება ან საჯარო დისტრიბუცია, ან წარმოება ან შენახვა, რომელიც საჯარო გავრცელების ან საჯარო დისტრიბუციის მიზანს ემსახურება;
 - g) ისეთი ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა, რომელიც ხელს უწყობს რასიზმს; ასეთი ჯგუფის მხარდაჭერა; მის საქმიანობაში მონაწილეობა მე-18 პუნქტის a), b), c), d), e) და f) ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებებისათვის ხელის შეწყობის მიზნით;
 - h) საჯარო თანამდებობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას რასობრივი დისკრიმინაცია
19. კანონით დასჯადი უნდა იყოს გენოციდი.
20. კანონი უნდა ადგენდეს, რომ მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი დანაშაულების განზრახ წახალისება, ხელშეწყობა, თანამონაწილეობა ან მათი ჩადენის მცდელობა არის დასჯადი.
21. კანონი უნდა ადგენდეს, რომ იმ ყველა სისხლის სამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც არ არის დაკონკრეტებული მე-18 და მე-19 მუხლებში, რასობრივი მოტივაცია წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.
22. კანონი უნდა ადგენდეს იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით.

23. კანონი უნდა ითვალისწინებდეს ეფექტურ, პროპორციულ და პრევენციულ სანქციებს მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით. კანონი, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს დამხმარე ან ალტერნატიულ სანქციებს.

V. საერთო დებულებები

24. კანონი უნდა ითვალისწინებდეს რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლისთვის თანასწორობის ერთი ან მეტი ორგანოს შექმნას, ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის მე-2 რეკომენდაციის შესაბამისად. კანონის თანახმად, ასეთ ორგანოს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები: მსხვერპლთა დახმარება; გამოძიების უფლებამოსილება; სასამართლო წარმოების ინიცირების და მასში მონაწილეობის უფლება; კანონმდებლობის მონიტორინგი და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისათვის რეკომენდაციების გაცემა; ცნობიერების ამაღლება რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოებაში და ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას.
25. კანონი უნდა ადგენდეს, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა ასოციაციები, პროფესიული კავშირები და სხვა იურიდიული პირები, რომელთაც, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, უფლება აქვთ, აღძრან სამოქალაქო საქმეები, ჩაერიონ ადმინისტრაციულ საქმეებში ან სისხლის სამართლებრივი საჩივრები შეიტანონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის მითითებული კონკრეტული მსხვერპლი. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მსხვერპლი მითითებულია, აუცილებელია მისი თანხმობის მოპოვება.
26. კანონი უნდა უზრუნველყოფდეს უფასო იურიდიულ დახმარებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, სახაზინო ადვოკატს იმ მსხვერპლებისათვის, რომელთაც სურთ, რომ სასამართლოს მიმართონ როგორც განმცხადებლებმა ან მომჩივანებმა და რომელთაც არ აქვთ ამისათვის საჭირო საშუალებები. საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანი უფასოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.
27. კანონი უნდა ითვალისწინებდეს რაიმე შურისძიებისგან იმ პირების დაცვას, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ განხორციელდა რასობრივი დანაშაული ან რასობრივი დისკრიმინაცია, რომლებიც ასეთი ქმედებების შესახებ ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს ან წარადგენენ მტკიცებულებას.
28. კანონი უნდა ითვალისწინებდეს ერთ ან მეტ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც ექნება პოლიციის, საზღვრის მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლების, შეიარაღებული ძალების წევრებისა და პენიტენციალური დაწესებულებების თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დისკრიმინაციის შემთხვევების გამოძიების უფლებამოსილება.

**რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული
კანონმდებლობის შესახებ რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული
კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N7**

განმარტებითი მემორანდუმი

შესავალი

1. ზოგადი პოლიტიკის აღნიშნული რეკომენდაცია (შემდგომში, "რეკომენდაცია") ყურადღებას ამახვილებს რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის ძირითად ელემენტებზე. ECRI აცნობიერებს, რომ მხოლოდ სამართლებრივი საშუალებები არ არის საკმარისი დასახული მიზნის მისაღწევად, თუმცა მას მიაჩნია, რომ რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობა აუცილებელია ამ ფენომენების წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად.
2. ქვეყნებისადმი ინდივიდუალური მიდგომის ფარგლებში, ECRI რეგულარულად მიმართავს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციით, მიიღონ რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტური სამართლებრივი ზომები. რეკომენდაციის მიზანია აღნიშნული ზომების მიმოხილვა და ECRI-ის მიერ ინდივიდუალური ქვეყნების შესახებ მომზადებულ ანგარიშებში ამ მხრივ წარმოდგენილი რეკომენდაციების განმარტება და შევსება. რეკომენდაცია, ასევე, მიზნად ისახავს პრეამბულაში მითითებული საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპების ასახვას.
3. ECRI-ის მიაჩნია, რომ რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის სათანადო კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებებს სამართლის ყველა სფეროში, ე.ი. საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მხოლოდ ასეთი ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე შეძლებენ წევრი სახელმწიფოები ამ პრობლემების გადაჭრას ისე, რომ მსხვერპლის თვალსაზრისით იყოს მაქსიმალურად ამომწურავი, ეფექტური და დამაკმაყოფილებელი. რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის სფეროში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა ხშირად ითვალისწინებს მოქნილ სამართლებრივ საშუალებებს, რაც ხელს უწყობს მსხვერპლის მიერ სამართლებრივი ქმედების განხორციელებას. სისხლის სამართლის კანონმდებლობას აქვს სიმბოლური გავლენა, რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემის სერიოზულობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, და მყარი პრევენციული გავლენა, კანონმდებლობის ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში. ECRI ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კანონის სხვადასხვა მტოების მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობები ერთმანეთს ავსებს. რაც შეეხება კონკრეტულად რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, ECRI ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მიმართავს რეკომენდაციით, მიიღონ კონსტიტუციური, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დებულებები, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში დამატებით მიიღონ სისხლის სამართლის დებულებები.

4. სამართლებრივი ზომები, რომელიც აუცილებელია რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან საბრძოლველად ეროვნულ დონეზე წარმოდგენილია იმ ძირითადი კომპონენტების სახით, რომელსაც უნდა შეიცავდეს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა. ECRI ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ რეკომენდებული ზომები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებთან თავსებადია, მათ შორის, საერთო სამართლის ან სამოქალაქო სამართლის ან შერეულ სისტემებთან. ამასთან, ის კომპონენტები, რომელსაც ECRI მიიჩნევს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამართლებრივი ჩარჩოს ძირითად კომპონენტებად, შესაძლოა, ადაპტირდეს თითოეულ ქვეყანაში არსებულ ინდივიდუალურ პირობებთან. მათ, შესაძლოა, ადგენდეს ერთი სპეციალური აქტი ან ეროვნული კანონმდებლობის სხვადასხვა სფერო (სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და სისხლის სამართალი). ამ ძირითადი კომპონენტების გათვალისწინება ასევე შესაძლებელია ფართო კანონმდებლობაში, რომელიც მოიცავს რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგალითად, დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების მიღებისას, წევრმა სახელმწიფოებმა რასობრივ დისკრიმინაციასთან ერთად, შესაძლოა, ასევე აკრძალონ დისკრიმინაციის სხვა ფორმები, როგორცაა, მაგალითად, დისკრიმინაცია გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსის ნიშნით. და ბოლოს, რიგ სფეროებში შესაძლებელია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გამოიყენონ ზოგადი წესები, რომელთაც წინამდებარე რეკომენდაცია არ შეიცავს. ეს ზოგადი წესებია, მაგალითად, მრავლობითი პასუხისმგებლობის, სუბსიდიური პასუხისმგებლობისა და მიყენებული ზიანის დონის განსაზღვრის ზოგადი წესები სამოქალაქო სამართალში; პასუხისმგებლობის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი წესები და სასჯელის დანიშვნის სტრუქტურა სისხლის სამართალში; და სასამართლოს ორგანიზებისა და იურისდიქციის ზოგადი წესები პროცედურული საკითხების სფეროში.
5. ნებისმიერ შემთხვევაში, რეკომენდაციაში წარმოდგენილი ძირითადი კომპონენტები მხოლოდ მინიმალური სტანდარტია. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი თავსებადია იმ სამართლებრივ დებულებებთან, რომლებიც დაცვის უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს და რომელიც წევრმა სახელმწიფომ მიიღო ან მიიღებს. ეს კომპონენტები არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს საფუძველს რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციისგან დაცვის იმ დონის შესამცირებლად, რომელსაც უკვე უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფო.

I. განმარტებები

რეკომენდაციის პირველი პუნქტი

6. წინამდებარე რეკომენდაციაში ტერმინი "რასიზმი" ფართო მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული და უნდა მოიცავდეს ისეთ ფენომენებს, როგორცაა ქსენოფობია, ანტისემიტიზმი და შეუწყნარებლობა. რაც შეეხება რასიზმისა და პირდაპირი და ირიბი რასობრივი დისკრიმინაციის განმარტებებში წარმოდგენილ ნიშნებს (რეკომენდაციის პირველი პუნქტი), იმ ნიშნებთან ერთად, რომლებსაც ზოგადად მოიცავს რასიზმთან და რასობრივ

დისკრიმინაციასთან ბრძოლის სფეროში მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორცაა, რასა, კანის ფერი და ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, რეკომენდაცია, ასევე, მოიცავს ენას, რელიგიასა და ეროვნებას². რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის განმარტებაში ამ ნიშნების შეტანა ECRI-ს მანდატთან შესაბამისობაშია, რაც გულისხმობს რასიზმთან, ანტისემიტიზმთან, ქსენოფობიასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლას. ECRI-ის, ასევე, მიაჩნია, რომ ეს კონცეფციები, რომლებიც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, შეიცვალოს, დღესდღეობით მოიცავს მანიფესტაციას ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების წინააღმდეგ, ისეთი ნიშნით, როგორცაა, რასა, კანის ფერი, რელიგია, ენა, ეროვნება და ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა. შედეგად, წინამდებარე რეკომენდაციაში გამოყენებული ტერმინები "რასიზმი" და "რასობრივი დისკრიმინაცია" მოიცავს ყველა იმ ფენომენს, რომელსაც ECRI-ის მანდატი ითვალისწინებს. ხანდახან,, ეროვნული წარმომავლობის განმარტება მოიცავს ეროვნების კონცეფციას, თუმცა, იმისათვის, რომ ეს კონცეფცია რეალურად დაიფაროს იგი მკაფიოდ არის გათვალისწინებული ნიშნების ჩამონათვალში, ეროვნული წარმომავლობის ნიშანთან ერთად. რასიზმის და პირდაპირი ან ირიბი რასობრივი დისკრიმინაციის განმარტებებში ფრაზის "ნიშნები, როგორცაა" გამოყენება მიზნად ისახავს ნიშნების ღია ჩამონათვალის შექმნას, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ამ ჩამონათვალმა ევოლუცია განიცადოს საზოგადოებასთან ერთად. თუმცა სისხლის სამართალში შესაძლებელია ნიშნების ამომწურავი ჩამონათვალის დადგენა, განჭვრეტადობის პრინციპის დაცვის მიზნით, რომელიც მართავს სამართლის ამ მიმართულებას.

7. განსხვავებით "რასობრივი დისკრიმინაციის" განმარტებისა (რეკომენდაციის პირველი პუნქტის "b" და "c" ქვე-პუნქტები), რომელიც კანონმდებლობაში უნდა იქნას გათვალისწინებული, რასიზმის განმარტება წარმოდგენილია რეკომენდაციის მიზნებისთვის და წევრმა სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, შეიტანონ თუ არა რასიზმის განმარტება თავიანთ კანონმდებლობაში. თუ ისინი განმარტების კანონმდებლობაში შეტანას გადაწყვეტენ, მათ შესაძლებელია, მიიღონ პირველი პუნქტის "a" ქვე-პუნქტში წარმოდგენილ განმარტებაზე ზუსტი განმარტება, რათა პატივი სცენ სამართლის ამ მიმართულების ფუნდამენტურ პრინციპებს. იმისათვის, რომ სახეზე იყოს რასიზმი, არ არის აუცილებელი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთი ან მეტი ნიშანი წარმოადგენდეს ერთადერთ ან განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს სიძულვილს ან უპირატესობის ცნებას, არამედ, საკმარისია, რომ ეს ნიშნები იყოს იმ ფაქტორებს შორის, რომელიც განაპირობებს სიძულვილს ან უპირატესობის ცნებას.
8. პირდაპირი და ირიბი რასობრივი დისკრიმინაციის განმარტებები, რომელიც წარმოდგენილია რეკომენდაციის პირველი პუნქტის "b" და "c" ქვე-პუნქტებში, შთაგონებულია იმ განმარტებებით, რომელსაც შეიცავს რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად ადამიანების თანასწორი მოპყრობის პრინციპის განმახორციელებელი ევროკავშირის

² ECRI-ის ტერმინი "ეროვნება" ესმის ისე, როგორც ეს განმარტებულია ეროვნების შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 უხლის "a" პუნქტში: "ეროვნება" ნიშნავს სამართლებრივ კავშირს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის და არ გულისხმობს პირის ეთნიკურ წარმომავლობას."

საბჭოს 2000/43/EC დირექტივა და ევროკავშირის საბჭოს 2000/78/EC დირექტივა, რომელიც ადგენს შრომისა და დასაქმების სფეროში თანასწორი მოპყრობის ზოგად ჩარჩოს, და, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ამ პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობა არის დისკრიმინაცია, თუ მას არ აქვს ობიექტური ან გონივრული დასაბუთება. ეს პრინციპი ვრცელდება რასობრივი დისკრიმინაციის განმარტებაში ჩამოთვლილი ნებისმიერი ნიშნით განსხვავებულ მოპყრობაზე..თუმცა, რასის, კანის ფერისა და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით განსხვავებულ მოპყრობას, შესაძლოა, ჰქონდეს ობიექტური და გონივრული დასაბუთება მხოლოდ უკიდურესად შეზღუდულ შემთხვევებში. მაგალითად, დასაქმებაში, სადაც კანის ფერი წარმოადგენს რეალურ და განმსაზღვრელ პროფესიულ მოთხოვნას კონკრეტული პროფესიული საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე ან იმ კონტექსტში , სადაც ეს საქმიანობა ხორციელდება, განსხვავებულ მოპყრობას ამ ნიშნით, შესაძლოა, ჰქონდეს ობიექტური და გონივრული გამართლება. უფრო ზოგადად რომ ითქვას, ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნის გამო განსხვავებული მოპყრობის კუთხით, ობიექტური და გონივრული დასაბუთების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს მაქსიმალურად ვიწროდ.

II. საკონსტიტუციო სამართალი

9. რეკომენდაციაში ტერმინი "კონსტიტუცია" გაგებული უნდა იქნას ფართოდ, რომელიც მოიცავს ძირითად კანონებსა და წერილობით და დაუწერელ ძირითად წესებს. მე-2 და მე-3 პუნქტებში, რეკომენდაცია ადგენს გარკვეულ პრინციპებს, რომლებსაც კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს. ამ პრინციპების განხორციელება უნდა მოხდეს საკანონმდებლო და მარეგულირებელი დებულებების საშუალებით.

რეკომენდაციის მე-2 პუნქტი

10. რეკომენდაციის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს კანონში თანაბარი მოპყრობის პრინციპითან მიმართებაში გამონაკლისი შემთხვევების დაშვების შესაძლებლობას იმ პირობით, რომ ეს გამონაკლისები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ამ პირობის დასაკმაყოფილებლად, რეკომენდაციის პირველი პუნქტის "b" და "c" ქვე-პუნქტებში წარმოდგენილი განმარტებების შესაბამისად, გამონაკლისებს ობიექტური და გონივრული დასაბუთება უნდა ჰქონდეს. ეს პრინციპი ვრცელდება ყველა გამონაკლისზე, მათ შორის, გამონაკლისებზე, რომლებიც ადგენს განსხვავებულ მოპყრობას ეროვნების საფუძველზე.

რეკომენდაციის მე-3 პუნქტი

11. რეკომენდაციის მე-3 პუნქტის თანახმად, კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების უფლების განხორციელებაზე შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას, რასიზმთან ბრძოლის მიზნით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 (2) და მე-11(2) მუხლები შეიცავს იმ მიზნების ჩამონათვალს, რომლებიც ამართლებს აღნიშნულ თავისუფლებებზე შეზღუდვის დაწესებას. მიუხედავად იმისა, რომ რასიზმთან ბრძოლა არ არის ნახსენები ამ ჩამონათვალში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, იგი ამ მიზნებში შედის.

კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლების თანახმად, ასეთ შეზღუდვას კანონი უნდა ითვალისწინებდეს და იგი აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

III. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი

რეკომენდაციის მეოთხე პუნქტი

12. რეკომენდაციის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს და კრძალავდეს პირდაპირ და ირიბ რასობრივ დისკრიმინაციას. პირველი პუნქტის "ხ" და "ც" ქვე-პუნქტებში წარმოდგენილია პირდაპირი და ირიბი რასობრივი დისკრიმინაციის განმარტება. "განსხვავებული მოპყრობის" მნიშვნელობა ფართოა და მოიცავს ნებისმიერ გამორჩევას, გამორიცხვას, შეზღუდვას, უპირატესობის მინიჭებას ან გამოტოვებას, წარსულში, აწმყოში ან მომავალში. ტერმინი "ნიშანი" უნდა მოიცავდეს ყველა რეალურ ან ნაგარაუდებ ნიშანს. მაგალითად, თუ პირი განიცდის საზიანო მოპყრობას იმ ვარაუდის გამო, რომ იგი მუსლიმია, თუმცა, რეალურად არ არის, მოპყრობა მაინც წარმოადგენს დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით.
13. დისკრიმინაციული ქმედებები იშვიათად ეფუძნება მხოლოდ ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ ნიშანს, არამედ, ეს ქმედებები ეფუძნება ამ ნიშნების სხვა ფაქტორებთან კომბინაციას. შესაბამისად, იმისათვის, რომ არსებობდეს დისკრიმინაცია, საკმარისია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი წარმოადგენდეს განსხვავებული მოპყრობის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს. ამრიგად, თავიდან უნდა იქნას აცილებული ისეთი შემზღუდავი ფრაზების გამოყენება, როგორცაა "განსხვავებული მოპყრობა, რომელიც მხოლოდ ან ექსკლუზიურად ეფუძნება ისეთ ნიშანს, როგორცაა..."

რეკომენდაციის მეხუთე პუნქტი

14. რეკომენდაციის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს დროებითი სპეციალურ ზომებს, რომელთა მიზანია ზემოაღნიშნული ნიშნებით გამორჩეული ადამიანების მიერ განცდილი არახელსაყრელი მდგომარეობის კომპენსაცია ან პრევენცია, ან ცხოვრების ყველა სფეროში ამ ადამიანების მონაწილეობის ხელშეწყობა. ზემოაღნიშნულ ნიშნებთან დაკავშირებული არახელსაყრელი მდგომარეობის საპრევენციო ან საკომპენსაციო დროებითი სპეციალური ზომების მაგალითი: იმ ქარხნის მეპატრონე, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი შავკანიანი თანამშრომელი, თუმცა, საამწყობო კონვეიერში არაერთი შავკანიანი დასაქმებული, აორგანიზებს ტრენინგს შავკანიანი მუშებისთვის, რომელთაც დაწინაურება სურთ. ზემოაღნიშნული ნიშნებით გამორჩეული ადამიანების ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობად შექმნილი დროებითი სპეციალური ზომის მაგალითი: პოლიცია ორგანიზებას უწევს ახალი თანამშრომლების შერჩევის კამპანიას, რომლის მიზანია შერჩევის პროცესში იმ ეთნიკური ჯგუფების წევრების მონაწილეობის წახალისება, რომლებიც პოლიციელთა რიგებში ნაკლებად არიან წარმოდგენილი.

რეკომენდაციის მეექვსე პუნქტი

15. რეკომენდაციის მე-6 პუნქტი კონკრეტულად მიუთითებს იმ ქმედებებზე, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე დისკრიმინაციის ფორმებად უნდა იქნას მიჩნეული. თეორიულად, ზოგადი სამართლებრივი პრინციპებისა და დისკრიმინაციის განმარტების გამოყენება უნდა იძლეოდეს ამ ქმედებების მოცვის შესაძლებლობას. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად ხდება ამ ქმედებების გამოტოვება ან გამორიცხვა კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან. ეფექტურობის მიზნებისთვის, კანონმდებლობა ცალსახად უნდა ადგენდეს, რომ ეს ქმედებები დისკრიმინაციის ფორმებად არის მიჩნეული.
16. რეკომენდაციაში დისკრიმინაციის ფორმების სახით მითითებული ქმედებებიდან რამოდენიმე საჭიროებს მოკლე განმარტებას:
 - სეგრეგაცია ნიშნავს ქმედებას, რომლითაც (ფიზიკური ან იურიდიული) პირი განასხვავებს სხვა პირებს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ნიშნის გამო, ობიექტური ან გონივრული დასაბუთების გარეშე, დისკრიმინაციის შემოთავაზებული განმარტების შესაბამისად. შედეგად, პირის მიერ სხვა პირებისგან ნებაყოფლობითი განსხვავება ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ნიშნის გამო არ წარმოადგენს სეგრეგაციას.
 - დისკრიმინაცია ასოციაციით გულისხმობს პირის დისკრიმინაციას ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ნიშნით გამორჩეულ ერთ ან მეტ პირთან კავშირის გამო. ასეთი შემთხვევის მაგალითია, როცა ადამიანი უარს ეუბნებიან სამსახურში აყვანაზე იმის გამო, რომ იგი დაქორწინებულია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე.
 - დისკრიმინაციის გაცხადებული განზრახვა დისკრიმინაციად უნდა ჩაითვალოს კონკრეტული მსხვერპლის არარსებობის შემთხვევაშიც. მაგალითად, განცხადება ვაკანსიის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ბოშების კანდიდატურა არ განიხილება, რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონმდებლობის მოქმედების სფეროში ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ განაცხადი არც ერთ ბოშას არ წარუდგენია.

რეკომენდაციის მეშვიდე პუნქტი

17. რეკომენდაციის მე-7 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა ვრცელდებოდეს ყველა სფეროში. დასაქმებასთან მიმართებაში, დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა მოიცავდეს დასაქმებაზე, პროფესიაზე და თვით-დასაქმებაზე წვდომას და, ასევე, სამუშაო პირობებს, ანაზღაურებას, დაწინაურებას და სამსახურიდან გათავისუფლებას.
18. პროფესიული ორგანიზაციების წევრობასთან მიმართებაში დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა მოიცავდეს: მუშაკთა ან დასაქმებულთა ორგანიზაციის ან ნებისმიერი იმ ორგანიზაციის წევრობას, რომლის წევრებიც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლები არიან; ასეთ ორგანიზაციებში მონაწილეობას; და ასეთი ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილ ბენეფიტებს.

19. განათლებასთან მიმართებაში, დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა მოიცავდეს სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო ან უმაღლეს განათლებას, როგორც საჯარო ისე კერძო სფეროში. ამასთან, განათლებაზე წვდომა არ უნდა იყოს დამოკიდებული ბავშვის ან მისი მშობლების საიმპიგრაციო სტატუსზე.
20. სწავლებასთან დაკავშირებით, დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა მოიცავდეს პირველად და მიმდინარე პროფესიულ მომზადებას, ყველა ტიპისა და დონის პროფესიულ ხელმძღვანელობას, მაღალი საფეხურის პროფესიულ სწავლებას და გადამზადებას, პრაქტიკული გამოცდილების მიღების ჩათვლით.
21. საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან მიმართებაში, დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს საცხოვრებელზე წვდომის, საცხოვრებელი პირობებისა და ქირავნობის ხელშეკრულებების შეწყვეტის კუთხით.
22. ჯანმრთელობასთან მიმართებაში, დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს მზრუნველობასა და მკურნალობასთან წვდომის კუთხით და ზრუნვის განაწილებისა და პაციენტების მკურნალობის გზებთან დაკავშირებით.
23. სოციალურ დაცვასთან მიმართებაში, დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა მოიცავდეს სოციალურ უსაფრთხოებას, სოციალურ სარგებელს, სოციალურ დახმარებას (საცხოვრებელთან დაკავშირებული ბენეფიტები, ბენეფიტები ახალგაზრდებისთვის და ა.შ.) და სოციალური დაცვის ბენეფიციართა მოპყრობას.
24. საზოგადოებისათვის ან საჯარო ადგილებისათვის განკუთვნილი საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში,, დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს, მაგალითად, მაღაზიაში საქონლის შეძენისას, ბანკში სასესხო განაცხადის წარდგენისას და დისკოთეკებზე, კაფეებსა და რესტორნებზე წვდომის კუთხით. დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ მათზე, ვინც საქონელსა და მომსახურებას სხვებისთვის ხელმისაწვდომს ხდის, არამედ, მათზეც, ვინც საქონელსა და მომსახურებას სხვებისგან იღებს; მაგალითად, როდესაც კომპანია არჩევს კონკრეტული საქონლის ან მომსახურების მომწოდებელს, ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნის საფუძველზე.
25. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან მიმართებაში, აღნიშნული მოიცავს კონკურენციის მარეგულირებელ კანონს, საწარმოებს შორის ურთიერთობასა და საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას.
26. საჯარო სერვისების სფერო მოიცავს პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების, საზღვრის მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლების, შეიარაღებული ძალებისა და პენიტენციალური დაწესებულებების პერსონალის საქმიანობას.

რეკომენდაციის მერვე პუნქტი

27. რეკომენდაციის მე-8 პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს საჯარო ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების პროცესში თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის პრევენციის ვალდებულებას. მოვალეობები, რომელიც საჯარო ორგანოებს ეკისრება კანონმდებლობაში მაქსიმალურად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. ამ

მიზნით, საჯარო ორგანოებს უნდა დაეკისროთ "თანასწორობის პროგრამების" შექმნისა და განხორციელების ვალდებულება. პროგრამა უნდა შემუშავდეს რეკომენდაციის 24-ე პუნქტში მითითებული თანასწორობის ორგანოს დახმარებით. კანონი უნდა ითვალისწინებდეს თანასწორობის პროგრამების რეგულარულ შეფასებას, მათი შედეგების მონიტორინგს და, ასევე, განხორციელების ეფექტურ მექანიზმებსა და ამ პროგრამის სამართლებრივი აღსრულების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ეროვნული სპეციალიზებული ორგანოს საშუალებით. მაგალითად, თანასწორობის პროგრამა, შესაძლოა, ითვალისწინებდეს საკონტაქტო პირის ნომინაციას, რასობრივი დისკრიმინაციისა და შევიწროების საკითხებზე, ან დისკრიმინაციის შესახებ თანამშრომელთა ტრენინგის ორგანიზებას. რაც შეეხება თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის პრევენციის მოვალეობას, რეკომენდაცია მხოლოდ საჯარო ორგანოებს მოიცავს. თუმცა, სასურველია, რომ იგივე მოვალეობა დაეკისროს კერძო სექტორსაც.

რეკომენდაციის მეათე პუნქტი

28. რეკომენდაციის მე-10 პუნქტის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დისკრიმინაციის მსხვერპლს ხელი უნდა მიუწვდებოდეს დაჩქარებულ პროცედურებზე, რომლებიც განაპირობებს შუალედური გადაწყვეტილებების მიღებას. ეს პროცედურები მნიშვნელოვანია ისეთ სიტუაციებში, სადაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების უშუალო შედეგები განსაკუთრებით სერიოზული ან გამოუსწორებელიც კი არის. ამრიგად, მაგალითად, ბინიდან დისკრიმინაციული გამოსახლების მსხვერპლს უნდა შეეძლოს ამ ღონისძიების შეჩერება, სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების გზით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგომამდე.

რეკომენდაციის მეთერთმეტე პუნქტი

29. იმ სირთულეების გათვალისწინებით, რასაც მომჩივანები აწყდებიან დისკრიმინაციის საქმეებში საჭირო მტკიცებულებების შეგროვების კუთხით, კანონმდებლობა დისკრიმინაციის მტკიცებას უნდა უწყობდეს ხელს. ამ მიზნით, რეკომენდაციის მე-11 პუნქტის თანახმად, ასეთ შემთხვევებში კანონი უნდა ითვალისწინებდეს მტკიცების ტვირთის გაზიარებას. მტკიცების ტვირთის გაზიარება ნიშნავს იმას, რომ მომჩივანმა უნდა დაადგინოს ფაქტები, რომელიც დისკრიმინაციის პრეზუმფციის შესაძლებლობას იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეზე გადადის იმის მტკიცების ვალდებულება, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია. ამრიგად, სავარაუდო ირიბი რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევაში, რესპონდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ განსხვავებულ მოპყრობას აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ბომა ბავშვებს საცურაო აუზზე შესვლაზე უარი ეთქვათ, მომჩივანისთვის საკმარისია დაამტკიცოს, რომ წვდომაზე უარი უთხრეს აღნიშნულ ბავშვებს, ხოლო სხვა ბავშვები, რომლებიც არ იყვნენ ბოშები, დაუშვეს. ამის შემდეგ, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ უარი ეფუძნებოდა ობიექტურ და გონივრულ დასაბუთებას, როგორცაა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბავშვებს არ ჰქონდათ საცურაო ქუდები, რაც აუცილებელია საცურაო აუზზე შესასვლელად. იგივე პრინციპი უნდა ვრცელდებოდეს ირიბი დისკრიმინაციის სავარაუდო შემთხვევებზე.

30. საჭირო მტკიცებულებისა და ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობასთან მიმართებაში, სასამართლოები ამ მხრივ ადეკვატური უფლებამოსილებით უნდა სარგებლობდნენ. ეს უფლებამოსილება, ასევე, უნდა მიენიჭოს თანასწორობის ნებისმიერ ორგანოს, რომელსაც გააჩნია დისკრიმინაციის ინდივიდუალური საჩივრის განხილვის უფლებამოსილება (იხ.ზოგადიპოლიტიკის რეკომენდაცია N2, პუნქტი 21).

რეკომენდაციის მეთორმეტე პუნქტი

31. რეკომენდაციის მე-12 პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს ეფექტურ, პროპორციულ და აღმკვეთ სანქციებს დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით. გარდა განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისა, სანქციები, ასევე უნდა მოიცავდეს ზომებს, როგორცაა დარღვეული უფლებების აღდგენა. მაგალითად, კანონი სასამართლოს უნდა აძლევდეს უფლებამოსილებას, მხარეს დაავალოს ფირმაში ან ბინაში ხელახლა შესვლაზე თანხმობის უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარის უფლებები არ დაირღვევა. ადამიანის სამსახურში აყვანაზე დისკრიმინაციული უარის შემთხვევაში, კანონი უნდა ადგენდეს, რომ გარემოებების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, დამსაქმებელს დაავალოს დისკრიმინაციას დაქვემდებარებული ადამიანისთვის დასაქმების შეთავაზება.
32. კერძო სკოლის მიერ დისკრიმინაციის შემთხვევაში, კანონი უნდა ითვალისწინებდეს სკოლისათვის მინიჭებული აკრედიტაციის გაუქმების ან მის მიერ გაცემული დიპლომების არალიარების შესაძლებლობას. საჯარო დაწესებულების მიერ დისკრიმინაციის შემთხვევაში, კანონი უნდა ითვალისწინებდეს ლიცენზიის გაუქმების და დაწესებულების დახურვის შესაძლებლობას. მაგალითად, დისკოთეკის მიერ დისკრიმინაციის შემთხვევაში, კანონი უნდა ითვალისწინებდეს ალკოჰოლური სასმელების რეალიზების ლიცენზიის გაუქმების შესაძლებლობას.
33. კომპენსაციის არაფულადი ფორმა, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს დისკრიმინაციის შემთხვევებში მართლმსაჯულების განსახორციელებლად.
34. კანონი უნდა ითვალისწინებდეს დისკრიმინაციის განმახორციელებელზე პოზიტიური ღონისძიების პროგრამის დაკისრების შესაძლებლობას. ეს სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი სახეობაა, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციაში გრძელვადიანი ცვლილების განხორციელებას. მაგალითად, დისკრიმინაციის განმახორციელებელს, შესაძლოა, დაეკისროს თანამშრომლებისათვის კონკრეტული ტრენინგ-პროგრამების ორგანიზების ვალდებულება, რომლის მიზანიც იქნება რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლა. თანასწორობის ეროვნულმა ორგანომ უნდა მიიღოს მონაწილეობა ასეთი პროგრამების განხორციელებასა და ზედამხედველობაში.

რეკომენდაციის მე-15 პუნქტი

35. რეკომენდაციის მე-15 პუნქტის თანახმად, კანონმდებლობა უნდა კრძალავდეს ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნით შევიწროებას. შევიწროება წარმოადგენს ქცევას, რომელც უკავშირდება რომელიმე ზემოაღნიშნულ ნიშანს და მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან დამაშინებელი, მტრული, ღირსების შემლახავი, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნით შევიწროებისგან დაცვა მაქსიმალურად მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ იმ პირის ქცევის წინააღმდეგ, რომელიც შევიწროებას ახორციელებს, არამედ, ასევე, სხვა პირების ქცევის წინააღმდეგ. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს დამსაქმებელზე პასუხისმგებლობის დაკისრება, კოლეგების, სხვა დასაქმებულების ან მესამე მხარეების მიერ (მაგალითად, კლიენტები ან მომწოდებლები) შევიწროების შემთხვევაში.

რეკომენდაციის მე-16 პუნქტი

36. რეკომენდაციის მე-16 პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს იმ პოლიტიკური პარტიების საჯარო დაფინანსების შეზღუდვის ვალდებულებას, რომლებიც ხელს უწყობენ რასიზმს. მაგალითად, ასეთ პარტიებს უარი უნდა ეთქვათ საარჩევნო კამპანიების საჯარო დაფინანსებაზე.

რეკომენდაციის მე-17 მუხლი

37. რეკომენდაციის მე-17 მუხლის თანახმად, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ისეთი ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესაძლებლობას, რომლებიც ხელს უწყობენ რასიზმს. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ორგანიზაციების ლიკვიდაცია უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ ორგანიზაციების ლიკვიდაციის საკითხს, ასევე, განიხილავს მე-4 სექცია - სისხლის სამართალი (იხ. წინამდებარე განმარტებითი მემორანდუმის 43-ე და 49-ე პუნქტები).

IV. სისხლის სამართალი

რეკომენდაციის მე-18 მუხლი

38. რეკომენდაცია ზღუდავს მე-18 პუნქტში წარმოდგენილი გარკვეული სისხლის სამართლებრივი დანაშაულებების ფარგლებს და ადგენს, რომ ისინი "საჯაროდ" უნდა იქნას ჩადენილი. არსებული პრაქტიკის თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში სამართლებრივი დევნის გარეშე რჩება რასისტული ქცევა, ვინაიდან იგი საჯარო ბუნების მქონედ არ მიიჩნევა. შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ "საჯაროდ" ჩადენის პირობის დაკმაყოფილება არ იყოს ზედმეტად რთული. ამრიგად, მაგალითად, ეს პირობა უნდა დაკმაყოფილდეს შეხვედრებზე ნეო-ნაცისტური ორგანიზაციების მიერ ან ინტერნეტში სადისკუსიო ფორუმზე გამოთქმული სიტყვების შემთხვევაში.
39. რეკომენდაციის მე-18 პუნქტში წარმოდგენილი ზოგიერთი სამართალდარღვევა შეეხება "ადამიანთა დაჯგუფებას". არსებული პრაქტიკის თანახმად, სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს რასისტულ ქცევაზე სანქციის დაწესებას ამ სახის ქცევას არ მოიცავს,

გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი მიმართულია კონკრეტული ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ. შედეგად, ეს დებულებები ხშირად არ მოიცავს გამონათქვამებს ადამიანების უფრო ფართო დაჯგუფების წინააღმდეგ, მაგალითად, თავშესაფრის მაძიებლების ან ზოგადად, უცხოელების წინააღმდეგ. ამის გამო, წინამდებარე რეკომენდაციის მე-18 პუნქტის a), b), c) და d) ქვე-პუნქტები საუბრობს არა ადამიანების "ჯგუფზე" არამედ "დაჯგუფებაზე".

40. ტერმინი "ცილისწამება", რომელსაც შეიცავს მე-18 პუნქტის b) ქვე-პუნქტი გაგებულნი უნდა იქნას ფართოდ და უნდა მოიცავდეს ცილისწამებას როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.
41. რეკომენდაციის მე-18 პუნქტის e) ქვე-პუნქტი ეხება გენოციდის დანაშაულებს, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს და ომის დანაშაულებს. გენოციდის დანაშაული გაგებულნი უნდა იქნას ისე, როგორც ეს განმარტებულია გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის II მუხლში და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-6 მუხლში (იხ. წინამდებარე განმარტებითი მემორანდუმის 45-ე პუნქტი). კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები და ომის დანაშაულები გაგებულნი უნდა იქნას ისე, როგორც ეს განმარტებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7 და მე-8 მუხლებში.
42. რეკომენდაციის მე-18 პუნქტის f) ქვე-პუნქტი მიუთითებს რასისტული მანიფესტაციების შემცველი წერილობითი, გრაფიკული ან სხვა მასალების გავრცელებაზე, დისტრიბუციაზე, წარმოებასა ან შენახვაზე. ეს ცნებები მოიცავს აღნიშნული მასალების გავრცელებას ინტერნეტით. ასეთი მასალა მოიცავს მუსიკალურ მასალებს, როგორცაა ჩანაწერები, ფირები და კომპაქტ-დისკები, კომპიუტერული აქსესუარები (მაგალითად, ფლოპი დისკები, კომპიუტერული პროგრამა), ვიდეო-ფირები, DVD დისკები და თამაშები.
43. რეკომენდაციის მე-18 პუნქტის g) ქვე-პუნქტი ადგენს იმ ჯგუფებთან დაკავშირებული გარკვეული ქმედებების კრიმინალიზაციას, რომელიც ხელს უწყობს რასიზმს. ჯგუფის კონცეფცია გულისხმობს დე-ფაქტო ჯგუფებს, ორგანიზაციებს, ასოციაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს. რეკომენდაციის თანახმად, უნდა აიკრძალოს ისეთი ჯგუფის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს რასიზმს. ეს აკრძალვა, ასევე, მოიცავს აკრძალული ჯგუფის შენარჩუნებასა და აღდგენას. იმ ჯგუფის ლიკვიდაციის საკითხს, რომელიც ხელს უწყობს რასიზმს, ასევე, ეხება III სექცია - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი (იხ. განმარტებითი მემორანდუმის 37-ე პუნქტი) და 49-ე პუნქტი ქვემოთ.) ამასთან, "მხარდაჭერის" ცნება მოიცავს ისეთ აქტებს, როგორცაა ჯგუფისათვის დაფინანსების უზრუნველყოფა, სხვა მატერიალური საჭიროებების უზრუნველყოფა, დოკუმენტების შექმნა ან მოპოვება.
44. რეკომენდაციის მე-18 პუნქტის h) ქვე-პუნქტის თანახმად, კანონით დასჯადი უნდა იყოს რასობრივი დისკრიმინაცია საჯარო თანამდებობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. :რაც შეეხება ამ საკითხს, განმარტებები რომლებიც არის მოცემული რეკომენდაციის პირველი პუნქტის b) და c)

ქვეპუნქტებში და ასევე მე- 5 პუნქტში გამოიყენება როგორც ალტერნატიული. რასობრივი დისკრიმინაცია საჯარო თანამდებობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას მოიცავს, განსაკუთრებით, დისკრიმინაციულ უარს, საზოგადოებისათვის განკუთვნილი სერვისის მიწოდებისას როგორცაა, მაგალითად, სამედიცინო დაწესებულების მზრუნველობის უზრუნველყოფაზე და პროდუქტის გაყიდვაზე, საბანკო სესხის გაცემაზე ან დისკოთეკაზე, კაფესა თუ რესტორანზე წვდომაზე დისკრიმინაციული უარი.

რეკომენდაციის მე-19 პუნქტი

45. რეკომენდაციის მე-19 პუნქტის თანახმად, კანონით უნდა ისჯებოდეს გენოციდი. ამ მიზნით, გენოციდის დანაშაული გაგებულ უნდა იქნას ისე, როგორც ეს განმარტებულია გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის II მუხლში და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-6 მუხლში, ე.ი. "ქვემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით: ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა; ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება ან მათი ფსიქიკური აშლილობის გამოწვევა; რომელიმე ჯგუფისათვის განზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ასეთ ჯგუფში შობადობისათვის ხელის შეშლა; ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაყვანა." რეკომენდაცია მიუთითებს მხოლოდ გენოციდის და არა ომის დანაშაულების ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დასჯაზე, რადგან ამდანაშაულებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ რასისტული ბუნება. ამავდროულად, თუ ომის დანაშაულებს ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს აქვთ რასისტული ბუნება, უნდა გავრცელდეს რეკომენდაციის 21-ე პუნქტში წარმოდგენილი დამამძიმებელი გარემოებები.

რეკომენდაციის მე-20 პუნქტი

46. რეკომენდაციის მე-20 პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს, რომ მე-18 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი დანაშაულების განზრახ წახალისება, ხელშეწყობა, თანამონაწილეობა ან მათი ჩადენის მცდელობა არის დასჯადი. ეს რეკომენდაცია ვრცელდება მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომელთა წახალისება, ხელშეწყობა, თანამონაწილეობა ან ჩადენის მცდელობა არის შესაძლებელი.

რეკომენდაციის 21-ე პუნქტი

47. რეკომენდაციის 21-ე პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს, რომ იმ ყველა სისხლის სამართლებრივ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც არ არის დაკონკრეტებული მე-18 და მე-19 მუხლებში, რასობრივი მოტივი წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას. ამასთან, კანონით დასჯადი უნდა იყოს საერთო დანაშაულები რასისტული მოტივით, როგორც სპეციფიკური დანაშაულები.

რეკომენდაციის 22-ე პუნქტი

48. რეკომენდაციის 22-ე პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იურიდიული პირებისთვის. ეს პასუხისმგებლობა ამოქმედდება მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია ნებისმიერი პირის მიერ იურიდიული პირის სახელით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს პირი მოქმედებს, როგორც ამ იურიდიული პირის ორგანო (მაგალითად, პრეზიდენტი ან დირექტორი) ან მისი წარმომადგენელი. იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. საჯარო ორგანოები, შესაძლოა, გამოირიცხონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან, როგორც იურიდიული პირები.

რეკომენდაციის 23-ე პუნქტი

49. რეკომენდაციის 23-ე პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ითვალისწინებდეს დამხმარე ან ალტერნატიულ სანქციებს. ასეთი სანქციების მაგალითებია: საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო, ტრენინგ კურსებში მონაწილეობა, გარკვეული სამოქალაქო ან პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა (მაგალითად, გარკვეული პროფესიული მოვალეობების ან ფუნქციების შესრულება; ხმის მიცემის ან თანამდებობის დაკავების უფლებები) ან სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ჯარიმების გარდა, შესაძლო სანქციების ჩამონათვალი მოიცავს: საჯარო ბენეფიტის ან დახმარების მიწოდებაზე უარს ან მის შეწყვეტას; კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევას, სასამართლო ზედამხედველობისთვის დაქვემდებარებას, იმ დაწესებულების დახურვას, რომელიც დანაშაულის ჩასადენად იქნა გამოყენებული, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული მასალის ამოღებას და იურიდიული პირის ლიკვიდაციას (ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. განმარტებითი მემორანდუმის 37-ე და 43-ე პუნქტები).

V. საერთო დებულებები

რეკომენდაციის 24-ე პუნქტი

50. თანასწორობის ორგანოების შექმნასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის N2 რეკომენდაციაში.

51-55 პუნქტები წაშლილია ზოგადი პოლიტიკის მე-2 რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია 2017 წლის 7 დეკემბერს.

რეკომენდაციის 25-ე პუნქტი

56. რეკომენდაციის 25-ე პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს, რომ ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა ასოციაციები, პროფესიული კავშირები და სხვა იურიდიული პირები, რომელთაც, ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ, უნდა ჰქონდეთ საჩივრის აღძვრის უფლება. ეს დებულება მნიშვნელოვანია, მაგალითად, იმ საქმეებში, სადაც მსხვერპლს შურისძიების შიში აქვს. ამასთან, დისკრიმინაციის ისეთ შემთხვევებთან საბრძოლველად, სადაც რთულია კონკრეტული მსხვერპლის იდენტიფიცირება ან ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს მსხვერპლთა განუსაზღვრელ

რაოდენობაზე, მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ორგანიზაციებს ჰქონდეთ რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით საჩივრის აღძვრის უფლება, კონკრეტულ მსხვერპლზე მითითების გარეშე.

რეკომენდაციის 27-ე პუნქტი

57. რეკომენდაციის 27-ე პუნქტის თანახმად, კანონი უნდა ადგენდეს შურისძიებისგან დაცვას. ასეთი დაცვა უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ იმ პირზე, რომელიც იწყებს სამართალწარმოებას ან აღძრავს საჩივარსარამედ, იმ პირებზეც, რომლებიც წარადგენენ მტკიცებულებებს, ინფორმაციას ან სხვა სახის დახმარებას სასამართლო წარმოებასთან ან საჩივართან დაკავშირებით. ასეთი დაცვა აუცილებელია რასისტული დანაშაულებისა და დისკრიმინაციის მსხვერპლთა წასახალისებლად, რათა მათ შესაბამის ორგანოებს მიმართონ საჩივრით და მოწმეების წასახალისებლად, რათა მათ მისცენ ჩვენება. იმისათვის, რომ შურისძიებისგან დამცავი დებულებები იყოს ეფექტური, ისინი უნდა ადგენდეს სათანადო და მკაფიო სანქციას. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც პირს ევალება მოქმედების განხორციელება ან მისი განხორციელებისგან თავის შეკავება, რათა შეწყდეს შურისძიების მიზნით განხორციელებული ქმედებები და/ან ასეთი ქმედებების მსხვერპლს მიენიჭოს კომპენსაცია.

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წლის 5 მაისს დააარსა ათმა ევროპულმა ქვეყანამ, ორგანიზაციის წევრებს შორის ერთიანობის ხელშეწყობის მიზნით. ამჟამად ევროპის საბჭო 47 ევროპულ ქვეყანას აერთიანებს.³

ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და საერთო რეაგირების შემუშავება წევრ სახელმწიფოებში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამართლებრივ გამოწვევებთან დაკავშირებით.

ევროპის საბჭოს ცენტრალური ოფისი მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი). წესდების თანახმად, ევროპის საბჭო ორი დამფუძნებელი ორგანოსგან შედგება: მინისტრთა კომიტეტი და საპარლამენტო ასამბლეა. ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებში არსებულ ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოადგენს სასამართლო ორგანოს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს წინააღმდეგ ფიზიკური პირების, ასოციაციების ან სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით აღძრული საჩივრების განხილვის კომპეტენცია.

ევროპული კომისიარასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ

ევროპული კომისია რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) წარმოადგენს მონიტორინგის ორგანოს, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა პირველი სამიტის მიერ. ECRI-ს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას შეიცავს ვენის დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1993 წლის 9 ოქტომბერს გამართულ პირველ სამიტზე. რასიზმის ევროპულმა კონფერენციამ, რომელიც 2000 წლის ოქტომბერში სტრასბურგში გაიმართა, ECRI-ს ქმედებების განმტკიცების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. 2002 წლის 13 ივნისს, მინისტრთა კომიტეტმა ECRI-ს ახალი წესდება მიიღო, რომელიც განამტკიცებს მისი, როგორც რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოს როლს.

ECRI-ის წევრებს გააჩნიათ ინდივიდუალური უფლებამოსილება და დამოუკიდებლობა. ECRI-ის ამოცანას წარმოადგენს რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტი-სემიტობასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლა ევროპის მასშტაბით და ადამიანის უფლებების დაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე. ECRI-ს ქმედებები მოიცავს ყველა აუცილებელ ზომას ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან და ცრურწმენებთან საბრძოლველად, რომელსაც აწყდებიან ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, განსაკუთრებით რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების და ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით.

ECRI-ს კანონით განსაზღვრული აქტივობებია: ინდივიდუალური ქვეყნების მონიტორინგი; ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება; ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ECRI-ისა და მისი საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, მიმართოთ:

რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ

ევროპული კომისიის სამდივნო

ევროპის საბჭო

F-67075 Strasbourg cedex

Tel: +33 (0)3 90 21 46 62

E-mail: ecri@coe.int

Website: www.coe.int/ecri

³ ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ანდორა, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვეთი, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საბერძნეთი, სან მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ჩრდილოეთი მაკედონია, ხორვატია.